

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართში N8 –
მობილ ბანკი - შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დამატოს 5.65. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.65.გაიაქტიუროს/გააუქმოს თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიღების სერვისი. **კლიენტი ბანკისთვის** შესაბამისი თანხმობის მიცემის საფუძველზე მიიღებს ინფორმაციას თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ, შემდეგ სახაზინო კოდზე - 10100100. აღნიშნული სერვისის გააქტიურება მოხდება **კლიენტს** მიერ მოთხოვნის დაფიქსირებიდან მეორე დღეს. **კლიენტისთვის მობილ ბანკში** ხელმისაწვდომი იქნება წინა კალენდარული დღის მდგომარეობით, აღიარებული და გადასახდელი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც **ბანკს** აწვდის სსიპ შემოსავლების სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტს** არ უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება, სერვისის ფარგლებში **კლიენტს** არ გამოუჩნდება საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი სსიპ შემოსავლების სამსახურისგან **კლიენტის** საგადასახადო დავალიანების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.